ცნობის ფურცელი

№ 2134 კვირა, 27 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2134

გაზეთი ღირს: წლიურად [illegible]—6 მან., ცალკე ნომერი [illegible] დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანქის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

უკან-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-113 №-რი.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუხა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგა-ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოპოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—15)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ".

საერთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე უიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150.** ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—110)

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა
პირველი ამხანაგობის

წევრთა წლიური კრება, რომელიც დანიშნული იყო 1903 წ. აპრილის 20-ს, საკმაო წევრთა გამოუცხადებლობისა გამო, გადაიდვა 11 მომავალ მაისისათვის.

კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კრების განსახილველი საგნები იგივეა, რაც უკვე გამოცხადებული იყო წინად.

ამხანაგობის გამგეობა
თავმჯდომარე ბ. მდივანი
წევრი ერ. კიწმარიშვილი
გამგე ნ. წერეთელი.
(ნ. 3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

ვ. ს. მუსხელიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჩიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

გ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ც. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

პ. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდე [illegible] 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

გ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ყელის ავადმყოფობა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ბ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. [illegible]—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: ქუქია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ბაგინაშვილისა, №-21 (აჯგარის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

წარმოდგენა 49—11. ტელეფონი 617.

✦ **უკანასკნელი წარმოდგენა** ✦

ქართული თეატრი

კვირას, 27 აპრილს, 1903 წ.

ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას

ოტელლო

ტრაგედია 5 მოქ. ვილიამ შექსპირისა, თარგ. თავ. ივანე მაჩაბლისა.

ამ პიესისთვის საგანგებოდ შეკერილია ახალი ტანისამოსები მოსესიანცის სახელოსნოში და დახატულია ახალი დეკორაციები. **მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 842**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისთან, (ნიკოლოოზის ქუჩა, № 21) ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—15)

მივიწყებული საქმე

ამას წინად, როდესაც რუსეთის პრესსის 200 წლის იუბილეი იდღესასწაულეს, თითქმის ყველა ადგილობრივ გაზეთებში აღნიშნულ იქმნა ის სამწუხარო ფაქტი, რომ ტფილისში დღემდე არ მოხერხდა ბეჭდვითი საქმის მუშაკთა დახმარების მოწყობა. ამგვარ დახმარების საჭიროებაზე იმდენი დაწერილა და თქმულა, რომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია ძველის გამეორება. ეს საჭიროება ჩვენებურ გაზეთების მოღვაწეთაც კარგად აქვთ შეგნებული და რამდენჯერმე კიდეც განიზრახეს დამხმარებელ საზოგადოების დაარსება; ბოლოს, ამ ორის წლის წინად, „კავკ. ვესტნიკ"-ის რედაქტორმა, ვ. ღ. ყორღანოვმა, ითავა ეს საქმე და საზოგადოების შემუშავებული პროექტი წარადგინა სადაც ჯერ არს. ახლა საქმის ინიციატორი ტფილისში აღარ არის და საქმეც თითქოს დავიწყებას მიეცა. როგორც გვახსოვს, ბ. ყორღანოვის თაოსნობას მაშინ ყველა ადგილობრივი გაზეთის რედაქცია თანაგრძნობით მიეგება და არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლა აღარავინ აღმოჩნდეს ისეთი, რომელმაც იკისროს ამ საქმის გაგრძელება, დაჩქარება და დაგვირგვინება.

ხსენებულ იუბილეის აღსანიშნავად, რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში რამდენიმე კეთილი საქმე მოაწყეს კიდეც, უმთავრესად ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სასარგებლოდ. ტფილისშიაც ქალაქის თვით-მმართველობამ გადასდო ფული სტიპენდიებისა და საავადმყოფოში ადგილის დასაწესებლად, რომელნიც პრესსის მოღვაწე-მუშაკთ უნდა მოხმარდეს. მაგრამ თვით გაზეთების რედაქციებმა ხმა არ ამოიღეს, თუმცა ყველა იმ აზრისა-კი იყო, რომ საჭიროა რაიმე კეთილის მოწყობა. სხვათა შორის, ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მაშინ ასოთ-ამწყობის წერილი, რომელიც რედაქციებს უთითებდა ერთ-ერთ მძიმე საქმეზე და რომელმაც სამწუხაროდ, უყურადღებოდ ჩაიარა. ასოთ-ამწყობმა აღნიშნა ერთ ერთი საშუალება, რომლითაც გაზეთებს შეეძლოთ და დღესაც შეუძლიათ შეუმსუბუქონ გაზეთებზე მომუშავეთ მძიმე მუშაობა. ეს არის კვირა დღეების დღესასწაულობა.

ჩვენს დროში კვირაობით შესვენება დააწესეს და აწესებენ ყველგან, სადაც-კი წინად ყოველდღიური გაბმული მუშაობა იყო; მხოლოდ გაზეთებზე მომუშავეთათვის არავინ ჰფიქრობს ამ სამართლიან და საჭირო წესის შემოღებას. თითოეული რედაქცია ცალკე თანახმაა ამ ღონისძიების აღსრულებისა, მხოლოდ საჭიროდ სთვლის, რომ ყველა გამოცემებმა თანხმობით აიღონ ხელი კვირაობით მუშაობაზე. თუ-კი ასეა, მაშ რაღა უშლის მათ ხელს შეიკრიბონ და ეს საქმე გადასწყვიტონ?! ტფილისში სულ ხუთი გაზეთია, რომელიც ორშაბათობითაც გამოდის, ამათგან ოთხი კერძო და ერთიც ოფიციალური. რამდენადაც ვიცით, ყველა კერძო გამოცემათა რედაქციები მზად არიან დააწესონ კვირაობით შესვენება და ამით აღასრულონ ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კანონიერი მოთხოვნა. საფიქრებელია, რომ არც ოფიციალური გაზეთი იქმნება ამის წინააღმდეგი; ყოველ შემთხვევაში კერძო გაზეთებმა მაინც უნდა აღასრულონ ეს საქმე და შემდეგში (ეხლა თუ არა) ოფიციალური გამოცემაც მიჰბაძავს მათ მაგალითს.

ჩვენის აზრით, საჭიროა ამ საქმეზე მოლაპარაკება და ამასთანავე ბეჭდვითი საქმის მუშაკთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსების დაჩქარება. ტფილისს ბოლო წლებში ძლიერ გამრავლდა ბეჭდვითი საქმის მუშაკთა რიცხვი და უსამართლობა იქნება არ ვიფიქროთ მათ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. მარშალი ომერ-ფაშა დიდის ჯარებით არის გაგზავნილი ვითომდა ალბანელების წინააღმდეგ; ვითომ ბრძანებაც უნდა ჰქონდეს მიღებული სარდალს ეხლავე ენერგიული ღონისძიებანი მიიღოს, მაგრამ საქმით კი არაფერი სჩანს. ალბანელები ყურადღებასაც არ აქცევენ ოსმალელ ჯარების მოძრაობას და არც კი ჰფიქრობენ დამორჩილდნენ რეფორმების შემოღებას. და ეს ყველაფერი ხდება აშკარად, დაუფარავად—ალბანელებს არავისი ეშინიათო, სწერს ფრანგულ გაზეთ „ტან"-ის კორესპონდენტი, და კონსტანტინეპოლში მყოფ დიპლომატებს რეფორმების საქმე დაღუპულად მიაჩნიათო. ილდიზ-კიოსკში კი ოპტიმისტურად უყურებენ საქმეს და ირწმუნებიან, რომ ალბანელები წყნარი, მორჩილი ხალხია და ყველაფერი მშვიდად და წყნარად გათავდებაო.

როდის-ღა უნდა მოეღოს ბოლო ასეთ კომედიას? ამასობაში ოსმალეთის ჯარები, რომელნიც ალბანელებისა და მაკედონელ რევოლიუციონერების დასამშვიდებლად მოსულან, ძალიან ცუდად იქცევიან. კუმანოვაში და კრატოვაში, უსკიუბსა და ბოლგარიის საზღვარ შუა, რეგულიარულ ჯარის ბატალიონი აღდგომა დღეს ისე მხეცურად იქცეოდა, რომ ოსმალეთის მთავრობაც კი იძულებული გახდა ბატალიონი უსკიუბში გადაეყვანა.

ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ერთხელ კიდევ მიჰმართეს (ნეტავი მერომელე მიმართვა იქნება!) ბრწყინვალე პორტას და სთხოვეს უცხოელების დაცვა რევოლიუციონერებისა და... ოსმალელ ჯარისკაცებისაგანაც. მიუხედავათ ამისა, ევროპის სახელმწიფოების „კონცერტს" აქამდე საჭიროდ არ დაუნახავს პირდაპირ ჩაერიოს საქმეში და ბოლო მოუღოს ზემოხსენებულ კომედიას და ამდენ სისხლის ღვრას!

✦ „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ს დეპეშით ატყობინებენ სოფიიდან, რომ სოლუნში და სხვაგან მომხდარი აფეთქებანი დინამიტისა არის დამამტკიცებელი საბუთი სისტემატიურ სარევოლიუციო პლანის არსებობისა. იმას კი ამბობენ, რომ მოძრაობის ხელმძღვანელების შეხედულებით აფეთქების დაწყება ცოტა ნაადრევია. ამიტომ არის, რომ საქმის მეთაურები სცდილობენ დროებით შეაჩერონ დაწყებული რევოლიუციონური მოძრაობა, რომ ადრე არ შემოაკლდით სარევოლიუციო საშუალებანი. საერთო აჯანყება მოსალოდნელია მაკედონიაში ერთის ან ორის თვის შემდეგ. ეხლა მოძრაობის ხელმძღვანელებს ჰყავთ თითოეულ ოლქში სამ-სამი, ოთხ-ოთხი პატარა რაზმები, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს დაუწყია პირდაპირი და აშკარა მოქმედება.

თუ აქამდე რევოლიუციონერების ძალთაგან მხოლოდ მცირე ნაწილს მიუღია მონაწილეობა აშკარა სარევოლიუციო მოქმედებაში და მაინც ასეთი ამბავი გამოიწვიეს, რაღას უნდა მოველოდეთ იმ დროისათვის, როცა მთელი ხალხი აიღებს იარაღს ხელში და შეებრძოლება მტარვალს?

„ბერლინერ ტაგებლატ"-ში ვკითხულობთ, რომ სოლუნში მომხდარ ამბების გამო სულთანის სასახლეში უმწეო მდგომარეობაა; პოლიტიკური წრეები უიმედოთ შესცქერიან მომავალს; ხმა დადის, ვითომც სახელმწიფოებს განზრახვა ჰქონდეთ სოლუნის ნავთსადგურში დემონსტრაცია მოახდინონ და ჯარებიც გადასვან ნაპირზე, როგორც ეს ამას წინად კრეტაში მოხდაო. ღმერთმაც ჰქნას! მაკედონელებსაც მეტი არაფერი უნდათ: ევროპიელ ჯარის-კაცების დესანტი ოსმალეთის ადმინისტრაციის მოსპობაა. კრეტის ბედია მაკედონიისათვის სანატრელი.

◆ დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი დეპეშები, განსაკუთრებით სალონიკის (იგივე სოლუნი), ყველასათვის ცხადჰყოფენ, თუ რამდენად საჭიროა ბალკანეთის დასამშვიდებლად ევროპიულ ჯარის კაცების დესანტი: ოსმალეთი ყველაფერს ბოლგარიას აბრალებს—ის რომ არ უწყობდეს ხელს, რევოლიუციონერების ხსენებაც არ იქნებოდაო; ბოლგარია კი აუტანელ მდგომარეობაშია—ევროპის შიშით ვერ დახმარებია თავის თანამოძმეთ. მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს: როცა სამთავრო ჰხედავს, რომ რეფორმების შემოღებისა და ალბანელების დაწყნარების მაგიერ, მრისხანე და შეურაცხმყოფელ ნოტებს სწერს ბოლგარიის მთავრობას, ბუნებრივია, რომ თავდ-აუზოგველად აქტიურად ჩაერიოს მაკედონიის საქმეში, მით უმეტეს, რომ, შეიძლება, ასეთმა გაბედულმა მოქმედებამ დააჩქაროს ევროპა და ჯარები გადმოაყვანინოს ნაპირზე.

◆ სოლუნში და სხვაგან მომხდარ ავეთქებათა ავტორად ბორის სარაფოვს სთვლიან.

სარაფოვზე ეხლა-ხან ხმები გაავრცელეს, ვითომც იგი მძიმედ დაეჭრას ოსმალებს, მაგრამ ეს ამბავი ტყუილი გამოდგა: სარაფოვი თვითონ იწერება, რომ არა დაშავებია რა.

ჩინეთი. დიდი მითქმა-მოთქმა ასტყდა ეხლა ხან მანჯურიის საქმის გამო. როგორც ვიცით, ჩინეთში მომხდარ არეულობის მიზეზით რუსეთმა დიდ-ძალი ჯარი შეიყვანა მანჯურიაში და ცალკე პირობითაც შეეკრა ჩინეთის მთავრობას. მაგრამ ინგლის-იაპონიის კავშირისა და ამერიკის პროტესტის გამო რუსეთმა პირობა დადო თან-და-თან გაეყვანა თავისი ჯარები მანჯურიიდან. უკანასკნელად ეხლა უნდა მომხდარიყო რუსეთის ჯარების გამოსვლა და სწორედ ამ დროს „რეიტერის სააგენტო“ იტყობინება პეკინიდან, რომ რუსეთმა ისევ მოსთხოვა ჩინეთის მთავრობას საგანგებო პირობების შესრულება მანჯურიის შესახებო. ამ ამბავმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია ინგლისს, ამერიკასა და იაპონიაში. ბოლოს შეერთებულ შტატების ელჩმა პეტერბურგში მისწერა თავის მთავრობას, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი უარს ჰყოფს „რეიტერის სააგენტოს“ მიერ გავრცელებულ ხმებს: რუსეთი არ თხოულობს ჩინეთიდან, რომ უარი ეთქვას ყველა სხვა სახელმწიფოებს მანჯურიის ნავთსადგურებში შესვლისა და თავიანთ კონსულების დანიშვნისა; რუსეთი არ არის მოწადინებული, რომ მას საგანგებო შეღავათიან პირობებით შეეკრას ჩინეთი.

მიუხედავათ ამისა, გაზეთი „ტაიმს“-ი იტყობინება პეკინიდან, რომ, როგორც ცნობილ ადმირალ ალექსეევის სიტყვებიდანა სჩანს, „რეიტერის სააგენტოს“ დეპეშას სიმართლე გამოუმჟღავნებია. ადმირალს გარდა ამისა უთქვამს, რომ მანჯურიის კითხვაში დაინტერესებული არიან მხოლოდ რუსეთი და ჩინეთი და მეტი არავინ და ესენი ნებას არავის მისცემენ, განსაკუთრებით იაპონიასა და ინგლისს, რომ ამ საქმეში ჩაერიოს.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის **თავად-აზნაურთა მომავალმა კრებამ**, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, უნდა განიხილოს გორის მაზრის თავად-აზნაურთა შუამდგომლობა გორში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების შესახებ. „ნოვ. ობ.“-ს შეუტყვია, რომ ამასთან ერთად კრება განიხილავს მეორე საკითხსაც—თელავში გიმნაზიის დაარსების შესახებ.

◆ გუშინ სხდომა ჰქონდა **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების** გამგე-კომიტეტს. ამ სხდომაზედ საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ს. ნ. ანანოვი, თავმჯდომარის ამხანაგად ა. რ. ფიშერი და მდივნად მ. ძ. მუხარინსკი.

◆ 25 აპრილს მოხდა კავკასიის ფარმაცევტთა **საზოგადოების** კრება. კრებამ, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება გამგეობისა სკოლის დაარსების შესახებ. უნდა დაარსდეს სკოლა იმათთვის, ვინც აფთიაქის თანაშემწის თანამდებობაზე ემზადება. კრებამ დაადგინა ჯერ-ჯერობით მოსწავლეთა მოსამზადებლად გამართოს ლექციები. ლექციების კითხვა იკისრეს ფარმაციის მაგისტრმა ი. დ. კუპცისმა, ი. ა. იაკუბოვიჩმა და ა. ბ. პოტკოვმა. სადგომი უფასოდ დაუთმო ფარმაციის მაგისტრმა ბ-ნმა ოტენმა.

◆ როგორც გუშინა ვწერდით, ტფილისში ჩამოვიდა უწმ. სინოდის მიერ გამოგზავნილი მოხელე ტიხომიროვი. ტიხომიროვმა **რევიზია უნდა მოახდინოს** ტფილისისა და ქუთაისის სემინარიებში და ამიერ-კავკასიის სასულიერო სასწავლებლებში.

◆ **მიწის მზომელთა სასწავლებლის** საპედაგოგიო საბჭომ საჭიროდ სცნო შეიცვალოს პროგრამა და თვით ტიპი ამ სასწავლებლისა. საბჭოს აზრი გაეგზავნება იუსტიციის სამინისტროში განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი მიწისმზომელთა და გამმიჯნველთა სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ.

◆ ამას წინად **სოფელ** ვართაშენში დაარსებულმა **სამეურნეო ამხანაგობამ** წესდების პროექტი გამოუგზავნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რათა შეესწორებინა და შუამდგომლობა აღეძრა დასამტკიცებლად. საზოგადოების საბჭომ ეს პროექტი გადასასინჯავად გადასცა ბ-ნ გ. დ. ჟურულსა და სააკოვს.

◆ **წყლის მილის** გამგემ გუშინ, 26 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება წყლის მილისათვის ახალ ფილტრების გამოწერის შესახებ. გამგის პროექტით, ისეთი ფილტრები უნდა გაკეთდეს, რომ დღე-ღამეში ქალაქს 200,000 ვედრო წყალი ეძლეოდეს. მოუნდება ამ საქმეს სულ 12,000 მან.

◆ ტფილისში არსდება **მუსიკისა და დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოება.** წესდების პროექტი უკვე წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

◆ ამას წინად, როგორც აღნიშნული გვქონდა, ქალაქის მოურავის მოადგილემ მიმართა ფინანსთა სამინისტროს და სთხოვა ნება მიეცა გამგეობისთვის გაესაღებინა **ტფილისის მესამე საობლიგაციო სესხის** ახალ ფორმის ობლიგაციები. საკრედიტო კანცელარიის დირექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ თქვენი შუამდგომლობა განსახილველად გარდაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროსაო. ძველი ფორმის ობლიგაციები გაუნაღდებელი დარჩა მხოლოდ 1000 მან. მესამე საობლიგაციო სესხი გამგეობამ ლომბარდის თანხის გასაძლიერებლად და ახალ საყასბოს ასაგებად მოახდინა. გუშინ ქალაქის მოურავმა ხელმეორედ მიჰმართა ფინანსთა სამინისტროს და სთხოვა ნება დაერთოს ქალაქს მესამე სესხის ახალ ფორმის ობლიგაციების განაღდებისა, რომ გამგეობა დროით შეუდგეს საყასბოს აგებას.

◆ ქალაქის ბაღების გამგე კომისიას განუზრახავს **ნავთლუხსა და ავლაბარში გააშენოს სკვერები.** ამისთვის კომისიას საჭირო ფული უთხოვნია გამგეობისათვის. გამგეობა მოხსენებას წარუდგენს საბჭოს ამ ფულის წრევანდელ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანის შესახებ.

◆ 25 აპრილს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეთათვის გაჰგზავნა 40 მისხალი **აბრეშუმის თესლი**, მისხალი 40 კაპეიკად.

◆ **ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები მოხდება 21, 22 და 23 მაისს.

◆ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი როჟდესტვენსკი დაინიშნა **ქუთაისის სასულიერო სემინარიის** ინსპექტორად.

◆ ყაზახში, როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, **მოუკლავთ ყაჩაღი ნასირ მურად-ოღლი.**

◆ ამას წინად პეტერბურგის **სატყეო ინსტიტუტმა** შეატყობინა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის არსებობიდან ასის წლის შესრულების საიუბილეო დღესასწაულში, რომელიც გაიმართება 19 მაისს. საზოგადოების საბჭომ ამ დღესასწაულზე წარმომადგენლობა მიანდო პეტერბურგში მყოფ ქ. ა. ვერმიშევს.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავს მოლაპარაკება ჰქონდა პეტრუსა მაკაროვის მემკვიდრეებთან, დაუთმოთ ადგილი ქალაქისათვის ვერაზე, წმ. იოანეს ეკლესიამდე ქუჩის გასაყვანად. მემკვიდრეებმა ქალაქს ადგილი დაუთმეს.

◆ ხვალ კრება ექმნება ქალაქის გამგეობასა და ხორცის ნიხრის გამწესებელ კომისიას. კრებამ უნდა მოილაპარაკოს ხორცის დუქნების უკეთ მოწყობაზე.

◆ 26 აპრილისათვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ნიკოლოზ და იასებ დვალიშვილებისა და ილიკო ფერანიძისა, რომელთაც ქალის მოტაცება ჰბრალდებოდათ. რადგან ამ საქმის მომხსენებელი ავად იყო, საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადასდეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, 25 აპრილს მეცხვარეებს ცხვრის ფარა მოუდიოდათ. როცა მეცხვარეები საყასბოსთან მისულან, გამოვარდნილან დარაჯები არუთინ არუთინოვი, ვალი-ნაბი-ოღლი და ალმაზ-მირზა-ოღლი და რამდენჯერმე თოფი უსროლიათ. მეცხვარეებს განუცხადებიათ, რომ დარაჯებმა სამი ცხვარი მოგვიკლეს, სამი დაგვიჭრეს და არ ვიცით, რა მიზეზითაო. დარაჯები დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ როგორც გვატყობინებენ, თელავის მაზრის სოფ. ნაფარეულში საუფლისწულო უწყების მამულის დარაჯს, პოლტავის გუბერნიის მცხოვრებს დიმიტრი ლიტოვნიკოვს, რაღაც მიზეზისა გამო, ხანჯლით მოუკლავს ნაფარეულის მცხოვრები არსენა თომაშვილი.

◆ ამას წინად თელავის მაზრაში, მაგრონის ტყეში, კამბეჩების საძებნელად წასულა თიანეთის მაზრის მცხოვრები სანდრო ჭიჭიაშვილი, რომელიც შემდეგ მოკლული უნახავთ.

◆ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, მეცხვარე თათეოზ ჯეილოვოვის ცხვრის ფარაში მგელს დაუხოცია 19 ცხვარი.

რუსეთის ქრონიკა

◆ კარგა ხანია ლაპარაკობენ დონის ოლქში ერობის შემოღების შესახებ. ამ აზრით პეტერბურგში შესდგა კომისია, რომელსაც მუშაობა დაუმთავრებია და შეუდგენია პროექტი დებულებისა „საერობო მართვა-გამგეობის“ შესახებ. გადაჭრით ამბობენ, რომ ოლქში საერობო დაწესებულებებს შემოიღებენო. პროექტი უნდა განიხილოს ჯერ სამხედრო საბჭომ, შემდეგ—სახელმწიფო საბჭომ. საქმე ეხლა ის არის, როდის განიხილავენ პროექტს ეს დაწესებულებანი და როდის ეღირსება იგი განხორციელებას.

◆ კიშინევის ამბებმა კიევის ებრაელნიც შეაშინა. კიევში 50 ათას ებრაელამდე იქმნება. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ 18 აპრილს ებრაელებს აკლებას უპირებენო. შეშინებული ებრაელნი 15, 16 და 17 აპრილს კიევიდან მატარებლებითა და გემებით სხვა ქალაქებისაკენ მიეშურებოდნენ. გარბოდნენ უმთავრესად ქალები და ბავშვები. ამ სამ დღეს რკინის გზის სადგურსა და ნავთსადგურში კაცი ფეხს ვერ აუქცევდა თურმე, იმდენ ებრაელებს მოეყარათ თავი მატარებლისა და გემის მოლოდინში.

ფელეტონი

პატარა ამბები

ჩვენებური ნაციონალისტები.—სასტიკია შევლოხა?—ებრაელთა უფლებანი წინად და დღეს.—ბრძოლა მაკედონიაში.

...ისეთი ელემენტარული გრძნობა სხვა არაფერი არის რა, როგორიც არის ეროვნული გრძნობა. პატრიოტულის გრძნობით გამსჭვალულნი არიან არამც თუ ველური ტომები, მსგავს გრძნობებს მოკლებულნი არ არიან პირუტყვებიც. ამიტომ მეტის მეტად ჩამორჩენილი უნდა იყოს საზოგადოება, რომ განსაკუთრებულ ღირსებად იქმნეს აღიარებული თავის ქვეყნისადმი სიყვარული. თავის ერის სიყვარული იმდენად ბუნებრივია, რამდენად ბუნებრივია საკუთარის თავის სიყვარული. არავითარი ცოდვა არ არის აქ, არავითარი [illegible] [illegible] წინაშე, მაგრამ არც გმირობაა!...

გმირად მიაჩნიათ ქრთამის მოძულე მოხელე მხოლოდ ყოვლად უზნეო და დაცემულ წრეში. თუ მამულისადმი სიყვარული ჩვეულებრივი მოვლენა არ არის, არამედ საგმირო საქმედ ითვლება, კიდევ უფრო დაცემულია ასეთი საზოგადოება და სერიოზული ექიმობა და წამლობა არის საჭირო მისთვის. შეიძლება პარადოქსად ეჩვენოს ეს ბევრს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ჩვენში დღემდის არ მოიპოვება ეროვნული იდეა და გრძნობა, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, არსებობს იგი, მაგრამ ისე მკრთალი, და უღონო, რომ ძნელი დასანახიც არის. ბევრს ვყვირით მამულიშვილობაზე, არა ერთისთვის გვიწოდებია გმირის სახელი და თავგამოდებული პატრიოტი: ქვეყნისათვის დიდნა და ერისთვის ტირილში ამოხდა სულიო. მაგრამ ნამდვილად ჩვენ არა გვყავს ერთი ქართველიც, რომელიც ცხოვრობდეს ეროვნულის იდეით; არა გვყანან ნაციონალისტები, ეს დღეზე უფრო ცხადია, თუ ძალად არ დავხუჭავთ თვალებს...

წარსულ კვირას მე მოვიყვანე ერთი მასწავლებლის მაგალითი. იგი სრულებით გამოგონებული პირი არ არის, ხონელები კარგად იცნობენ ამ ვაჟბატონს. მისი წერილები ნამდვილი წერილებია და არა განზრახ ჩემ მიერ შეთხზული.

მე მივიღე კიდევ ერთის არა-ქართველის წერილი, რომელიც მოუპოვებიათ ჩემს ნაცნობებს. პედაგოგსავით არ მალავს ჩვენდამი მტრობას არამედ საჯაროდ, აშკარად გვლანძღავს და გვამცირებს. თავის მისიად მიაჩნია ჩვენი ალგვა დედამიწის ზურგიდან, და იმდენად უფრო ვძულვართ, რამდენად უფრო გვამცირებს.

„დედამიწაზედ არაფერი არ მძაგს ისე, როგორც მძაგს და მეზიზღება ქართველებიო! ვკითხულობთ, სხვათა შორის, მის წერილში: ეს საზიზღარი ადამიანები ერსაც კი უწოდებენ თავიანთ თავს. მერე რაში გამოიხატა მათი ეროვნებაჲ? ისტორია გვქონდაო! სულ ტყუილია და მოგონილი ზღაპარი... ეს ქვეყანა მუდამ საზიზღარი იყო და არასოდეს არავითარი წმინდა და კეთილშობილური არ მოიპოვებოდა აქ, არ მოიპოვება დღესაც!... დაწყევლილია ღვთისაგან და არ ექნება მას სიკეთე... ყოვლად უზნეოთ, ყოვლად დაცემულთ არავითარი მადლობა და პატივისცემა არა აქვთ ჩვენდამი... ფუი ასეთს ქვეყანას! ფუი ასეთ ერს“!...

ასე გვლოცავს ეს ღირსეული პირი...

ოღონდაც, რომ შეუძლიათ ჩვენს მამებს, ჩვენ ძველ მოღვაწეებს, იამაყონ თავი მამულიშვილობით, თავის იდეალიზმით! ოღონდაც, ოღონდაც!... როგორ არ უნდა იამაყონ, როდესაც ჩვენში იბეჭდებიან „პატრიოტული“ წერილები, როგორც იყო ერთი სააღდგომო ფელეტონი. წერილი გამსჭვალულია იმ მამულიშვილობით, რომელსაც ივიწყებენ პირველ გემრიელ სუფრის წინაშე. ამბობენ, ერთ ოჯახში სუფრაზე მსხდომ „მამებმა“ ძლიერ მოიწონეს წერილი, მაღალ პატრიოტულად აღიარეს და მეტის სიამოვნებით მიირთვეს სადილიო...

* *

ულმობელი შევლოხა ერთი გირვანქა ხორცს თხოულობს ანტონიოსაგან. გამწარებული დანას ლესავს და შეუბრალებლად გადახედავს თავის მსხვერპლს. ქრისტიანები მუხლ—მოდრეკილნი ევედრებიან ებრაელს შებრალებას, მაგრამ იგი შეურყეველად სდგას: კანონი უფლებას მაძლევს და გირვანქა ხორცი უნდა ამოვჭრა ანტონიოს გულიდანაო!..

უნდა გაგვიკვირდეს და მხეცური გაბოროტება უნდა ვუწოდოთ ებრაელ შევლოხას საქციელს? უნდა მოვთხოვოთ დიდსულოვანობა, გულკეთილობა, სიყვარული მტრებისადმი? ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ და სიბრალული და სიკეთე უნდა მოვითხოვოთ ყველასაგან!

მაგრამ როდესაც ეგვე ებრაელი მწარე ცრემლებით მოსთქვამდა: „განა ებრაელს თვალები არა აქვს, არა აქვს ხელები, სხეული, გრძნობა, მისწრაფება, სიყვარული?.. განა ებრაელიც იმ გვარივე საჭმელით არ იკვებება, როგორც ქრისტიანები? იმგვარივე ავადმყოფობით არ იტანჯება? იმგვარივე წამლით არ სწამლობს თავის თავს? ...განა იგივე იარაღი არ დასჭრის ებრაელს, როგორიც ქრისტიანს? განა ებრაელისთვის არ ცივა ზამთარში და არ ცხელა ზაფხულში? როდესაც დაგვჭრით, ხომ სისხლი გადმოგვედინდება ჩვენც? როდესაც საწამლავს გვაწვდით, ხომ ვკვდებით ჩვენც“? როდესაც ასე მოსთქვამდა ჩვენ წინ ებრაელი, არაფერი გვესმოდა მისი. კიდევ უფრო ვაწვალებდით, ვტანჯავდით, კიდეც დავცინოდით თან! „ქვა ურიას, ქვა ურიას!“ ვიძახოდით.

გამწარდა ებრაელი, იშოვნა დრო და მოითხოვა ერთი გირვანქა ხორცი ცოცხალი ქრისტიანის გულიდან. მხეცობაა? გვიკვირს? რად?.. რად და არ მოითხოვა ებრაელმა ერთი გირვანქა ხორცი კი არა, ათი ასი.!

გაუმაძღარი, შეუბრალებელი კი არ ყოფილა შევლოხა! არა, მეტად გულჩვილი,

თან მიჰქონდა თავიანთი ბარგი-ბარხანა; ყველას სახეზე შიში ეტყობოდა. მთელი სამი დღე ებრაელებს მაღაზიები და დუქნები არ გაუღიათ.

◆ გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის მეცადინეობით პეტერბურგში არსდება ვეგეტარიანთა კლუბი. კლუბს აზრად ექმნება ვეგეტარიანობის გავრცელება. ამისთვის გამოსცემს წიგნაკებს, გამართავს ლექციებს და საუბრებს, აგრეთვე სასადილოებს ვეგეტარიანთათვის.

◆ 6 აპრილს, აღდგომის პირველ დღეს, ტომსკის საგუბერნიო სატუსაღოში უწესოებანი მოხდა. მიზეზი ის იყო, რომ ადმინისტრაციამ შესცვალა ერთი ჩვეულება: წინად აღდგომა დღეს ტუსაღთა სენაკებს არა ჰკეტდნენ, წელს კი დაჰკეტეს. ტუსაღებმა პირველად მშვიდობიანად მოითხოვეს: გაგვიღეთ კარებიო, შემდეგ მუქარას შეუდგნენ და ბოლოს დაუწყეს მტვრევა კარებს, ფეჩებს და ყველანი კარიდორში გამოვიდნენ. ტუსაღთა დასაწყნარებლად ჯარი დაუბარებიათ; იქვე მისულა გუბერნატორი, თავ. ვიაზემსკი. ტუსაღნი მხოლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როდესაც გუბერნატორმა აღუთქვათ, გიაღებინებ მთელის დღით კარებსაო.

◆ ბლაგოვეშჩენსკის პოლიცმეისტერს ბატარევიჩს სამსახურის დროს სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის პალატამ სასჯელი გადაუწყვიტა. ბატარევიჩმა ხელმწიფის სახელობაზე თხოვნა გაჰგზავნა. შუამდგომლობდა, როდესაც სასჯელს მოვიხდი, ხელ-ახლა დამიბრუნეთ უფლება და თანამდებობაო. ეს შუამდგომლობა შეიწყნარეს.

პრესსა

მოახლოვდა ეგზამენების დრო და გაზეთებმა ჩვეულებრივად დაიწყეს მათ შესახებ კამათი. გაზეთი „სპუტნიკ ზდოროვია“ სწერს:

> კი-დევ რამდენიმე დღე და ჩვენ მოსწავლე ახალგაზდობას დაუდგება მძიმე დრო ტანჯვა-წვალებისა და შემაწუხებელ საეგზამენო ციებ-ცხელებისა...
>
> ეგზამენების საჭიროება და სარგებლობა კარგა ხანია საეჭვოდ აქვთ აღიარებული. ეგზამენი—დახავსებული სამოსწავლო ღონისძიებაა და უფრო ლატარიას მოგვაგონებს, ვიდრე ნამდვილ და ნორმალურ გამოცდას ცოდნისას. ეგზამენის მოსპობის საჭიროებაზე უკანასკნელ წლებში იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ ამაზედ ლაპარაკი ძველის გამეორება იქმნება მხოლოდ. ყოველ შემთხვევაში, რა აზრისაც უნდა იყოს ვინმე ამ ღონისძიებაზე, როგორც არ უნდა ამართლებდეს ეგზამენებს პედაგოგიურ მოსაზრებებით,—ძნელად მოიძებნება ისეთი კეთილსინიდისიერი პედაგოგი, რომელიც უარ-ჰყოფდეს, რომ ეგზამენი მოითხოვს მოსწავლეთაგან გონებრივ და ფიზიკურ ძალების საშინელს ძალ-დატანებას, რომ საეგზამენოდ მომზადება ჰღუპავს ახალგაზდობას, რადგან საშინლად ჰღალავს მას, უკარგავს მადას, ართმევს ძილს და ასნეულებს.
>
> მართლაც, ჰკითხეთ დედებს, მასწავლებელთ და აღმზრდელთ და ისინი თითონ გეტყვიან, რომ არასოდეს მოსწავლენი ისე არ იქანცებიან, არასოდეს ისე არ სჩივიან, როგორც ეგზამენებისათვის მომზადების დროს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მოსწავლენი ისედაც დაღალულნი არიან ზამთარში სწავლითა და 7—8 თვეს ანტიჰიგიენურ სკოლის პირობებში ცხოვრებით.
>
> პედაგოგიის მხრით საჭირო არ არის მოსწავლეთა ამგვარი გამოცდა, რადგან კარგმა მასწავლებელმა ისედაც უნდა იცოდეს, რამდენად მომზადებულია ახალგაზდა შემდეგ კლასსისათვის; ხოლო რადგან ჯანმრთელობისათვის ეგზამენი დამღუპველია, დრო არისო, დასკვნის გაზეთი, სერიოზულად ვიფიქროთ მის მოსპობაზე. ყოველ შემთხვევაშიო, ამბობს დასასრულ გაზეთი, იმაზე მაინც ვიზრუნოთ, რომ
>
> ეგზამენების დრო გამოიცვალოს. გაზაფხულზე და ზაფხულში ბავშვს უფრო ეჭირვება დასვენება, ხოლო ზამთარში უფრო მეტი ძალაც აქვს და მაშინ უფრო გაუძლებს გადამეტებულ შრომას.

თეატრი

დღეს ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს შექსპირის **ტრაგედიას „ოტელლოს“**. ოტელლოს როლს შეასრულებს ვ. გუნია, ხოლო იაგოსას—სვიმონიძე. ეს წარმოდგენა უკანასკნელია.

—

დღეს ვეტცელის თეატრშიაც წარმოგენაა. სცენის მოყვარენი ასოთ-ამწყობთაგან ჰმართავენ **რუსულ ქართულ წარმოდგენას**. რუსულად წარმოადგენენ დრამას „Мачиха“-ს, ხოლო ქართულად—„ჭკუისა მჭირს“ და „ორ მშიერს“.

—

6 მაისიდან საარტისტო საზოგადოების თეატრში **დაიწყება წარმოდგენები** მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტთა დასისა. დასში არიან: ქ-ნი ლეშკოვსკისა, ბ-ნნი იუჟინი (სუმბათაშვილი), პრავდინი, რიბაკოვი, პოლარინი და სხვანი. სულ დასი რვა წარმოდგენას გამართავს. სხვათა შორის, წარმოადგენენ „ჰამლეტსა“ და „ოტელლოს“.

—

პირველ მაისიდან სათავად-აზნაურო თეატრში **მალორუსიული დასი** შეუდგება წარმოდგენის მართვას.

—

◆ მკითხველებმა უთუოდ იციან, რომ **რკინის გზის სახელოსნოებთან არსებობს თეატრი**, სადაც სცენის მოყვარენი ძალიან ხშირად ჰმართავენ რუსულსა და ქართულ წარმოდგენებს. დღემდე ეს თეატრი სიფხიზლის საზოგადოების ხელში იყო. ამბობენ, რკინის გზის უფროსს აზრადა აქვს თეატრი ხსენებულ საზოგადოებას ჩამოართვას და განსაკუთრებულ კომისიას გადასცესო. კომისიის წევრებად რკინის გზის გამგეობის მოხელენი იქმნებიან.

—

ბაქო. 23 აპრილს რკინის გზის სახელოსნოში აქაურ სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა მსახიობ გდ. ასტაფიევ-მესხიშვილის სასარგებლოდ „ადვოკატი მელაძე“. მეტად უხერხულია ამ სახელოსნოში წარმოდგენის გამართვა: არა აქვს შერი; შესაფერი კარების მაგიერ, „პრეზენტები“ აქვს გაკეთებული. პირველმა მოქმედებამ უფერულად ჩაიარა; ნამეტანი ხმაური იყო. საზოგადოდ მეორე მოქმედებას არა უშავდა რა. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ბებელიძისა; ბ-ნნი ზაქარიძე, ბეგიძე, ჭონიშვილი, კურცხალია და სხვანი. ბ.ბ. ზაქარიძემ და ჭონიშვილმა ბევრი აცინეს საზოგადოება. კურცხალია კარგი მოსამართლე იყო. რუსულ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „Барышня съ телефона“ და კარგადაც ჩაატარეს თავიანთი როლები.

დივერტისმენტში ზაქარიძემ მშვენივრად წაიკითხა კინტოური და სხვა ლექსები. აგრეთვე კარგად წაიკითხა დ. ჭონიშვილმა სცენები გლეხთა ცხოვრებიდან. დასასრულ, გაიმართა ევროპიული ცეკვა და ლეკური, რომელმაც გასტანა დილის სამ საათამდის. მადლობის ღირსნი არიან წარმოდგენის გამმართველნი.

მ. ტასიკოშვილი

—

კიევში სხვა დაწესებულებებთან ერთად თეატრიც აიგეს. პეტერბურგის სახალხო თეატრის რეჟისორს [illegible] მიანდეს დრამატიულ დასის შედგენა ამ თეატრისთვის. დასს ხიზანა შეინახავს თავის ხარჯით..

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

პარასკევს, 25 აპრილს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებამ, ბ. ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით, განიხილა საყურადღებო მოხსენება საზოგადოების წევრის ბ-ნ ი. გ. ალიბეგოვისა კავკასიაში საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ.

მოხსენების დასაწყისს ბ. ალიბეგოვმა აღნიშნა ჩვენის ქვეყნის მეტის-მეტი ჩამორჩენა სწავლა-განათლების მხრით. ამ ჩამორჩენის ბრალია ის, პირველის შეხედვით გაუგებარი გარემოება, რომ ბუნებით უმდიდრესი კავკასია ასე ღარიბია და კულტურით მეტად დაქვეითებულია. რადგანაც ახლა საუკეთესო დროა, როცა შეგვიძლიან, უმაღლეს მთავრობის ნებართვით, ხმა მაღლა ვილაპარაკოთ და აღვნიშნოთ ყველა ჩვენი ტკივილები, უმჯობესია სამეურნეო საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება სახალხო განათლების საკითხს მიაქციოს; რაც უფრო განათლებული და მეცნიერებულია რომელიმე ქვეყანა, მით უმეტეს ძლიერია მისი წარმოებითი ძალა; თუ ამ მხრით შევხედავთ ჩვენს ქვეყანას, თვალწინ მეტად სამწუხარო სურათი გადაგვეშლება: ასე ყოველ მხრით ბუნებით შემკობილი მდიდარი ქვეყანა და ასე კულტურულად დაცემული დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება თითქმის. და ეს ასეც უნდა იყოს, თუ წარმოვიდგენთ სურათს ჩვენში სწავლა-განათლების მდგომარეობისას. როგორც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშიდან ჩანს, კავკასიაში ამ ჟამად სამინისტროს უწყების 2042 სკოლაა და ამასთან სხვა უწყებისა 273 სკოლა, ერთად გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს სულ 2315 სასწავლებელი; ე. ი. ერთ მილიონ მცხოვრებზე მოდის 245 სასწავლებელი ან და ერთი სასწავლებელი 4100 მცხოვრებზე, 179 ოთხ.-კუთ. ვერსის მანძილზე. მთელი რიცხვი კავკასიაში მოსწავლე ახალ-გაზდობისა უდრის 183,490, რაც შეადგენს 1,9% კავკასიის მცხოვრებლებისას. ეს სახალხო განათლების სამინისტროს უწყების სკოლებში, ხოლო სხვა უწყების სასწავლებლებში სწავლობს 16,222 მოსწავლე ანუ 2,1% კავკასიის მთელ მცხოვრებთა. პირველ დაწყებით სკოლებში, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის 1901 წლის ანგარიშით, სწავლობდა 134,703 მოსწავლე და თუ სახეში მივიღებთ, რომ კავკასიაში 9,491,000 სული მცხოვრებელია, გამოდის, რომ წერა-კითხვის მცოდნე მხოლოდ 1,4% მთელ მცხოვრებთა. კავკასიას სახალხო განათლების მხრივ, გარდა ციმბირისა და კასპიის იქითა მხრისა, რუსეთის იმპერიაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს. სახალხო განათლების მხრითვე კავკასიას ევროპასა და სხვა ქვეყნის სახელმწიფოებთან შედარებით მე-39 ადგილი უჭირავს. მოსწავლეთა პროცენტი რომ შევადაროთ მცხოვრებთა რიცხვს, გამოდის, რომ სხვა ქვეყნებში 1873 წელს, ე. ი. 28 წლის წინად, 14-ჯერ უფრო მაღლა მდგარა იქ სახალხო განათლება, ვიდრე 1901 წელს კავკასიაში. პირველ დაწყებითი სახალხო სკოლები კავკასიაში 1902 წლის 1 იანვრისათვის ყოფილა სულ 1491; აქედან ჩრდილო კავკასიაში 804 და ამიერ კავკასიაში 687. საშუალო რიცხვით რომ გავიანგარიშოთ, ერთი სკოლა მოდის ჩრდილო-კავკასიაში 1, 5 სოფელზე, 242,03 ოთხ.-კ. ვერსტის სივრცეზე, ხოლო ამიერ-კავკასიაში ერთი სკოლა 14,4 სოფელზე მოდის, ანუ—322,3 ოთხ კუთხ ვერსტის მანძილზე მცხოვრებ 6187,4 სულ მცხოვრებზე.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მასწავლებლების რიცხვს და განათლებას და აგრეთვე აღნიშნა სხვა ქვეყნებთან შედარებით თუ როგორ ნაკლები გასამრჯელო ეძლევა კავკასიაში მასწავლებლებს. სტატისტიკურის ცნობებით ბ-ნი ალიბეგოვი ამტკიცებს, რომ იმ პირს, რომელსაც აბარია ისეთი წმინდა საქმე, როგორც სახალხო განათლებაა, ჯამაგირი ეძლევა გაცილებით ნაკლები, ვიდრე სარობთ დარაჯს ანუ რომელსამე კანცელარიის გადამწერს. კავკასიის ყველა სკოლების შესანახად 1901 წელს სხვა-და-სხვა წყაროებიდან შემოსულა სულ 6.441,529 მანეთი. აქედან საშუალო სკოლებზე დახარჯულა—2.704,433 მან., პირველ დაწყებით სასწავლებლებზე—2.405,035 მან. დაბალ სკოლებზე—828,501 მან. აქედან გამოდის, თუ რამდენად მცირე ფულია გადადებული სახალხო განათლებისათვის. ამ მხრითაც კავკასიას სხვა 39 განათლებულ ქვეყნებში უკანასკნელი ადგილი უჭირავს. უმთავრეს ნაკლულევანებას კავკასიის სახალხო განათლების საქმეში შეადგენს დედა ენის მეტად

შემბრალებელი და სულგრძელი ყოფილა! თვალ წინ უდგა თავის ერის უსაზღვრო ტანჯვა, გაუთავებელი კვნესა, ორი ათასი წელიწადი სდევნიდნენ მის ძმებს ერთი ადგილიდან მეორეში, ხოცავდნენ ჰუსამართლოდ, ართმევდნენ იმ უფლებას, რომელსაც მოკლებული არ იყო უბრალო მონაც, მათ სცემდნენ უმოწყალოდ და ტირილის ნებაც კი არ ჰქონდათ: ბაბილონის მდინარეთა ნაპირებზე სტიროდნენ მაინც ებრაელები, ქრისტიანებმა აუკრძალეს ესეც...

ებრაელ დედას გამოსტაცეს ხელიდან თოთო შვილი და გადმოისროლეს მესამე სართულიდან, დედის თვალის წინ მოუკლეს ოთხი ვაჟი, მის ქმარს თავი გაუტეხეს, მისი ქალი გააუპატიურეს. მოჰკლეს მამა და მის მკერდზე მოჰკლეს მისი შვილიც. მოჰკლეს ებრაელი მეეტლე მიტომ, რომ საავადმყოფოში წაიყვანა დაჭრილი ებრაელი. პატარა ქალს ებრაელს დედას უკლავდნენ, და საბრალო შვილას ეხვეწებოდა ქრისტიანებს, მაგრამ ხელი არ გაუწოდეს მას განათლებულმა ინტელიგენტებმა, მოსწავლე ახალგაზდა ქრისტიანებმაც კი. სისხლით შეიღება ებრაელთა უბანი, მკვდრებით აივსო მათი სასაფლაო, აღარ ეტევიან დაჭრილები საავადმყოფოში. დაანგრიეს ებრაელთა სახლები, გაანადგურეს მათი ქონება, აიკლეს და შეურაცხყვეს მათი ტაძრებიც, დაამსხვრიეს და დალეწეს წმიდა ნივთები.

მეთაურნი, მოწინავე ქრისტიანები თავის გაზეთებით ბრბოს აქეზებდენ ებრაელთა წინაამდეგ. სდუმდენ ისინი, ვისაც უნდა დაეცვა ებრაელები. აღდგომის დღეს, როდესაც აღსდგა იესო—შვილი ურიასტანისა, ქრისტიანებმა ამოჟლიტეს ურიები!..

შეილოკი სასტიკია? არა! შეილოკი ძლიერ სუსტის გულის და კეთილი ყოფილა!

მეტს იზამდა, მისი ნაღველი და ტკივილი რომ გულს ჰქონოდა!

თვით ღმერთი მოიწონებდა მის უსაზღვრო შეუბრალებლობას...

**

დიდებულო ერო, შენ არ გესაჭიროება ჩვენი ნამცეცი თანაგრძნობა, შენი ტანჯვანი უფრო დიდია, ვიდრე ჩვენი თანაგრძნობა! მაგრამ ჩვენთვის, საკუთრად ჩვენთვის ვისურვებდი, რომ ქართველობამ, როგორც ნაწილმა ქრისტიანობისამ, შევიგნოთ ის დანაშაულობა, რომელიც მიგვიძღვის ქრისტიანებს თქვენდამი!..

კარგი იქნება, კიშინევში მომხდარ ამბებისა გამო, თვალი გადავავლოთ ამ წამებულის ერის ისტორიას ევროპაში.

როგორც ვრცელდებოდა რომის იმპერიაში ქრისტეს მოძღვრება, ისე უფრო და უფრო ვიწროვდებოდა ებრაელთა უფლებანი. მათ აუკრძალეს საჯაროდ შესრულება თავის სარწმუნოების წესებისა და წმიდა ადგილებში სიარული. როდესაც ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების მბრძანებელი შეიქნა რომის პაპი, მან გამორიცხა ამ ცხოვრებიდან ებრაელები, რომელნიც ამის გამო იძულებულნი შეიქნენ განკერძოებულ ყოფას. ყველაზედ უწინარეს მათ აჰყარეს იარაღები. სავაჭრო და სამრეწველო ცეხები რომ დაარსდა, ისინი განდევნეს ცეხებიდან. მერე აუკრძალეს მიწის მფლობელობაც. ებრაელებს შეეძლოთ თავი ერჩინათ მხოლოდ წვრილმანის ვაჭრობით, შინაურის ხელსაქმობით და ექიმობით, რომელიც კარგად იცოდნენ. მართალია, მათ შორის იყვნენ მდიდარი მევახშენი, მაგრამ დიდი უმრავლესობა, ხალხი აუტანელს სიღარიბესა და გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. ქრისტიანები ესესხებოდნენ ებრაელების ფულს, მაგრამ ან ჰკლავდენ მათ დაუსჯელად, ან ძალით ართმევდენ შემდეგ ვექსილებს.

ქრისტიანების ფანატიკოსობა განსაკუთრებით გაძლიერდა ჯვაროსანთა ომების დროს. ებრაელთა მრავალი საზოგადოება იქნა მაშინ ამოჟლეტილი. დიდი განსაცდელი მიაყენა მათ საფრანგეთში მეფე ფილიპე მეორემ. ინგლისიდან სრულიად გამოდევნეს 1290 წ. მხოლოდ 350 წლის შემდეგ მისცეს მათ უფლება ხელ-ახლად დასახლებისა დიდ ბრიტანიაში. ყოველგვარს უბედურებას ებრაელებს აბრალებდნენ—ჭირს, სიმშილის, მტერთა შემოსევას. ხშირად დაეცემოდნენ ებრაელთა სახლ-კარებს, ანადგურებდნენ ყველაფერს, ხოცავდნენ მათ პატრონებს. მეთხუთმეტე საუკუნეში სილეზიაში და სხვაგან სრულიად ამოწყვიტეს ებრაელები. მათი სწავლულები გამოაცხადეს კუდიანებად, სატანის შვილებად და სწვავდენ ცეცხლზე, მათი ქონება კი სახელმწიფოს მიჰქონდა. ისპანიაში გაძლიერებულმა კათოლიციზმმა ჯერ მოინდომა ნებაყოფლობით გაქრისტიანება ებრაელებისა, მაგრამ როდესაც ეს ვერ მოახერხა, დაუწყო საშინელი დევნა მათ, რის გამო 1492 წელს 300,000 ებრაელი იძულებული შეიქნა, სამუდამოდ დაეტოვებინა ის ქვეყანა, სადაც 1500 წ. ცხოვრობდა. განახლების ხანამ არ გააუმჯობესა ებრაელთა ცხოვრება. ბევრი მათგანი გადასახლდა აზიაში, ოსმალეთში, სადაც მათი ყოფა შედარებით უკეთესი იყო...

ებრაელთა განთავისუფლება დაიწყო პირველად საფრანგეთში, სადაც 1791 წელს მიანიჭეს მათ საფრანგეთის მოქალაქობრივი უფლება. ინგლისში 1723 წ. მისცეს მიწის შეძენის ნება, 1823 წ. ადვოკატობის უფლება და 1858 წ. გაუღეს პარლამენტის კარები. ჰოლანდიაში თავისუფლად ცხოვრობდნენ ებრაელები, მხოლოდ მოქალაქობრივი უფლება მიიღეს 1796 წ. სრული ემანსიპაცია ებრაელთა ჰოლანდიასა და ბელგიაში დამყარდა 1814 წ. ნორვეგიაში ცხოვრების ნება მიიღეს 1881 წლიდან, შვეციაში სრული თანასწორობა არა აქვთ მინიჭებული დღესაც. იტალიასა და ავსტრიაში სრულიად გათანასწორებულნი არიან ქრისტიანებთან. გერმანიაში ემანსიპაცია დაიწყო 1808—1813 წ., სრული თანასწორობა მათი გამოაცხადა 1869 წ. 3 ივლისის საიმპერიო კანონმა...

სიტყვა.

შევიწროვებული მდგომარეობა. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშით, 1901 წელს ის სკოლები, სადაც სწავლება ადგილობრივ ენებზე სწარმოებს რუსული ენის დახმარებით, შეადგენს მხოლოდ 11,8 პროც., ხოლო ის სკოლები, სადაც მარტო რუსულ ენაზე სწარმოებს სწავლა, შეადგენს 88,2 პროც. ამ გარემოების შესახებ მზრუნველის ანგარიში აღნიშნავს, „რამდენად მიღწეულ იქმნა მიზანი რუსული ენის სახალხო სკოლებში შემოღებისა. ეს იქიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ 1879 და 1880 წ.წ. იმ სკოლების რიცხვმა, სადაც რუსული ენით სწარმოებდა სწავლა, მიაღწია ყველა სასწავლებლებისა 1/3-მდე, ხოლო მარტო ადგილობრივ ენაზე დაფუძნებული სწავლა სწარმოებდა სკოლების 1/6-ში. ამ ჟამად პირველი რიგის სკოლები შეადგენენ 8/9, ხოლო უკანასკნელნი აღარც კი არსებობენ". ასეთის მოსაზრებისაგან თავის-თავად ის უნდა დავასკვნათ, ვითომც კავკასიის ხალხებმა ისე შეითვისეს რუსული ენა, რომ სკოლები, სადაც დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს სწავლა, საჭირონი აღარ არიან. მაგრამ სინამდვილე კი წინააღმდეგს გვიჩვენებს. მაგალითად, 1876—1883 წლამდე იმ სკოლების რიცხვი, სადაც დედა-ენაზე სწარმოებდა სწავლა, 17,9%-დან 9,6 პროცენტამდე შეუმცირებიათ, 1884 წელს 9,6% უცებ ჩამოდის 1,2 პროცენტამდე, ხოლო 1901 წელს ეს სკოლები სრულიად ისპობიან. სკოლები, სადაც რუსული ენის დახმარებით სწავლა დედა-ენაზე სწარმოებდა, ამ ხნის განმავლობაში შემცირდა 25,2%-ით. ხოლო რუსულ ენიანი სკოლები პროგრესიულად იზრდება და აღის ამ ჟამად 38,4% მდე. ასეთი მიმართულება იყო როგორც სოფლის, ისე ქალაქის სკოლებში. საქმის ასე დაყენება სრულიად ეწინააღმდეგება პედაგოგიურს პრინციპს და სარგებლობის მაგიერად მეტად სამწუხარო ნაყოფს გამოიღებს. როცა ამნაირს ანტიპედაგოგიურს მიმართულებას ფესვები გაუდგამს ჩვენს ცხოვრებაში, მაშინ აღარ შეგვიძლიან გლეხს ვუსაყვედუროთ, თუ იგი სკოლას გულით არ ეტანება და ფულს არ იღებს თავის პირშით შვილების ასაზრდელად. როგორც ბევრჯელ თქმულა, დღევანდელი ჩვენი სოფლის სკოლები წერა-კითხვასაც იმდენად ვერ ათვისებენ მოსწავლეს, რომ მაშინვე არ დაავიწყდეს... ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ 9 სამეურნეო სასწავლებელია. ასე რომ 1,054,555 მცხოვრებელზე ერთი სამეურნეო სასწავლებელი მოდის. ეჭვი არ არის, თუ როგორს დაქვეითებულს მდგომარეობაშია განათლების მხრით კავკასია. ამ უბედურებას ეშველება რამე, თუ ჩვენში შემოღებული იქმნება საყოველთაო სავალდებულო სწავლება.

დღეს სკოლას გარედ რჩება კავკასიაში 700,000 ახალგაზრდა. ამათთვის სკოლები რომ გაიმართოს, საჭირო იქნება იმ ხარჯს გარდა, რაც დღეს არის, კიდევ 10,800,000 მან. წელიწადში. მრავალის ცნობებისა და სხვა-და-სხვა მოსაზრების დასასრულ ბ-ნმა ალიბეგოვმა განაცხადა: თუ გვინდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ დღევანდელ სიბნელეს თავი დააღწიოს, საჭიროა შუამდგომლობა აღიძრას: 1) იმის შესახებ, რომ გამრავლებულ იქმნეს რიცხვი პირველ-დაწყებით სკოლებისა, რათა საყოველთაო სწავლება იქმნას შემოღებული იმ აუცილებელის პირობით, რომ სწავლება დედა-ენაზე სწარმოებდეს, რომლის უდრესი საჭიროება ვრცლად იყო აღნიშნული და დასაბუთებული სულთან-კრიმ-გირეისა და ნატროშვილის მოხსენებაში; 2) გადიდებულ იქმნეს რიცხვი სამასწავლებლო სემინარიებისა; 3) დაარსებულ იქმნენ მოთხოვნილების მიხედვით სამეურნეო სკოლები; 4) დაარსებულ იქმნეს ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც დააკმაყოფილოს კავკასიის მოთხოვნილება, როგორც შინის მამქმედ სხვა-და-სხვა მადნეულობით მდიდარ ქვეყნისა; 5) დახსნილ იქმნენ სასოფლო სკოლებთან ბიბლიოთეკები და სხვ.

მცირე ხნის კამათის შემდეგ კრების უმრავლესობამ მოიწონა მოხსენების პრინციპიალური მხარე და დაადგინა დაბეჭდვინოს ეს მოხსენება და სხვა მოხსენებებთან ერთად წარუდგინოს პეტერბურგში სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა განსაკუთრებულ საბჭოს განსახილველად.

კრება ღამის 11 საათზე დასრულდა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აპრილი

პეტერბურგი. პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზის მე-69 ვერსზე შუაღამისას სამი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა. მემანქანე დაშავდა. სხვა უბედურება არა მომხდარა-რა.

სოფია. სალონიკის ამბების შემდეგ მაკედონიის მცხოვრებნი უფრო მეტ გასაჭირში ჩაცვივდნენ: ადმინისტრაცია ავიწროებს ძალიან ბევრს, მღვდლებსა და მასწავლებლებს. ბაშიბუზუკები ძალმომრეობენ. მაკედონიის წრეებში ოსმალეთის პოლიციას აბეზღებენ და ამბობენ, რომ იგი ზომებს არა ჰხმარობს, რათა შემდეგ საბუთი მისცეს მაკედონელთა წინააღმდეგ სამოქმედოდ.

ნიკოლაევი. გაიხსნა ტუსაღთა გამასწორებელი ახალი განყოფილება 800 კაცისთვის.

ნოვოროსიისკი. იმ ბოროტ-განმზრახველთაგან, ვინც 27 მარტს სოჭის მახლობლად თავს დაესხნენ შერემეტიევის მოურავს მორგაიტისს, შეიპყრეს ორი კაცი.

ლოძი. 24 აპრილს აქ მოვიდა სპარსეთის გამსესხებელ ბანკის თავმჯდომარე. მოლაპარაკება ჰქონდა აქაურ ვაჭრებთან სპარსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების გაძლიერების შესახებ. თავმჯდომარეს საჭიროდ მიაჩნია ლოძში დაარსებულ ბანკის განყოფილების დაარსება. ვაჭარნი თანაგრძნობით მიეგებნენ.

ვორონეჟი. საბჭომ დაადგინა საქალაქო სკოლებში დაარსოს პარალელური განყოფილებანი. დაადგინა აგრეთვე შუამდგომლობა აღძრას მეორე ოთხ კლასიან სასწავლებლის დაარსების შესახებ.

სალონიკი. კიდევ დაიპატიმრეს ბევრნი. ხალხს ჯერ კიდევ ეშინიან აფეთქებისა.—შიდა პროვინციებიდან არა სანუგეშო ხმები მოდის შეტაკებების შესახებ მონასტირის მახლობლად.—სოფელ ბანიცას ოსმალეთის ჯარმა, რომელსაც მებრძოლთა რაზმმა ცხარე წინააღმდეგობა გაუწია, ცეცხლი წაუკიდა.

ათინა. როგორც ოფიციალური დეპეშა იუწყება, ძლიერი არეულობანი მომხდარა მონასტირსა და იმის ახლო-მახლო. საბერძნეთში თვალ ყურს ადევნებენ მაკედონელებს. რამდენიმე კაცი დაიპატიმრეს.

პარიზი. ტულონში ბრძანება გაიგზავნა იმის შესახებ, რომ სალონიკში გემები წავიდნენ.

კონსტანტინოპოლი ზოგიერთა საელჩოებმა დარაჯებად ზღვაოსანნი დაიყენეს. რუსეთის ელჩს კარგა ხანია ასეთი დარაჯები ჰყავს.

სალონიკი. მოვიდნენ იტალიის გემები „სარდინია", „მოროზინი", „კარლო-ალბერტო" და „კალატაფიმი". სალონიკში სრული მშვიდობიანობაა.—როგორც ისმის, სულთანს პირადად მთავარ ფერდინანდისთვის მიუმართავს და უთხოვნია, უფრო სასტიკი ზომები მიიღოს მაკედონიის კომიტეტთა წინააღმდეგ.—პორტას აზრადა აქვს აცნობოს დიდ სახელმწიფოებს გამოაქვეყნონ მთელი მასალა, რაც აღმოჩნდება სალონიკში მომხდარ ამბების შესახებ, რომელიც ბოლგარიის მოქმედებას ამჟღავნებს.—ბოლგარიამ მოითხოვა, რომ პორტამ უარ-ჰყოს თავისი უკანასკნელი ნოტა, რომელიც ულტიმატუმსა ჰგავს, და ჩვეულებრივი ნოტა გამოსცეს. ოსმალეთი არა ჰფიქრობს თავის ნოტის შინაარსის შეცვლას. მოსალოდნელია საქმის გამწვავება. საქმის ვითარების მცოდნეთა აზრით, ამ გამწვავებას სამტრო მოქმედება მაინც არ მოჰყვება. უფრო მხნედ შეუდგნენ სამხედრო მზადებას.

ბელგრადი. პორტა სალონიკში მომხდარ ამბების გამო ბოლგარიის მთავრობისათვის გაუგზავნია მკაცრი დეპეშა. სოფიიდანაც ასევე მკაცრად უგეს პასუხი.

კონსტანტინოპოლი. პორტა უარ-ჰყოფს გაზეთების შიერ გავრცელებულ ხმას, ვითომ ოსმალეთს ომი ეწადოს.

პარიზი. „ფიგარო"-ში დაბეჭდილია მინისტრის დელკასეს აზრი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისის მეფის პარიზში მისვლას: „მეფე ედუარდის საფრანგეთში მგზავრობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ევროპა იწონებს საფრანგეთის პოლიტიკას. ამ ცხად, პირდაპირ პოლიტიკას საფუძვლად აქვს რუსეთთან კავშირი. ძლიერნი ვართ ამ კავშირით და მხარს ვუჭერთ ისეთ დაწყობილებას, რომელსაც აზრად ინტერესთა და გრძნობათა დაახლოვება აქვს. ჩვენ თანაგრძნობას ვაჩვენებთ ევროპაში და შემდეგაც განვაგრძობთ ამ საქმეს. საერთო ძალას ამ იდეების სამსახურს განდომებთ ჩვენ".

ჩარჯუი. ასხაბადსა და მერვს შუა მატარებლების მიმოსვლა შეწყდა წყალდიდობის გამო. ტეჯენის სადგური წყალმა წაიღო. მიმოსვლას 8—10 დღის შემდეგ აღადგენენ.

კონსტანტინოპოლი. როგორც პორტას აცნობებენ, ბოლგარელებს რამდენჯერმე უსროლიათ მონასტირის მაჰმადიანთა ნაწილში. ხალხი შეშინდა; ბაზარი დაიხურა. ვალიმ საჭირო ზომები მიიღო ქალაქის დასაცველად. წესიერების დამრღვევნი დაიპატიმრეს. წეს-რიგი და მშვიდობიანობა აღადგინეს.—ოფიციალურის ცნობებით, სალონიკში მოკლულ ბოლგართა რაოდენობა 35-ია. ამათგან ზოგმა თავი მოიწამლა.

ტულონი. გემებმა „პოტიუო"-მ, „ლატუშ-ტრევილ"-მა და „გალილე"-მ ბრძანება მიიღეს, სალონიკში წავიდნენ.

26 აპრილი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: „ოც-დასამს ამ თვეს მის იმპერატორებით უდიდებულესობის დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მეუღლე მისი იმპერატორებით უმაღლესობა ელისაბედ მავრიკის ასული მშობიარობისაგან განთავისუფლდა ვაჟი-შვილით, რომელსაც გიორგი დაარქვეს; ვუბრძანებთ უმართებულეს სენატს მოახდინოს განკარგულება, რომ ეს ახლად დაბადებული იმპერატორთა სისხლის მთავარი, როგორც იმპერატორის შთამომავალს ეკუთვნის, იხსენიებოდეს ყოველ შემთხვევაში, სადაც კი ეს მიღებულია, უმაღლესობად. ნამდვილზე მის იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარ ხელით აწერია: „ნიკოლოზი".

გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი ლეიბ-ხირურგის გირშის სახელობაზე იმის სამსახურის 50 წლის იუბილეის გამო.—გენერალ-ლეიტენანტი კრიბსკი დანიშნულია მე 2-ე ქვეითი ჯარის დივიზიის უფროსად.

კონსტანტინოპოლი. ოსმალეთის წყაროებიდან ამტკიცებენ, რომ უკანასკნელ ცნობებით, ალბანელთა წინააღმდეგობა მოსალოდნელი არ არის, არც დიაკოვაში, არც იპეკში. კონფიდენციალურ ცნობებით ალბანელებმა უარი სთქვეს წინააღმდეგობაზე, რადგანაც ოსმალებმა განაცხადეს, რომ იმათ ოლქებში ჯარი მეზობელ სახელმწიფოების წინააღმდეგ შეიკრიბა.

კონსტანტინოპოლი. საფრანგეთის გაზეთების ცნობა, რომ გერმანელთა რწმუნებულმა მოითხოვა მოკლულთა შესახებ და გერმანული სკოლის სალონიკში გახსნა, ტყუილია.—პრიზრენში დაპატიმრებული 20 ალბანელი ხოჯა მოსულში გაგზავნეს.—ოსმალთა ჯარი დიაკოვაში შევიდნენ; მათ დახვდა ხალხი დიდის პატივით. იპეკიც ისე დაიჭირეს, რომ წინააღმდეგობა არავის არ გაუწევია.

კონსტანტინოპოლი. პოლიცია განაგრძობს ძებნას კომიტეტის წევრებისას და მათ ამხანაგებისას. პოლიციას ჯარი ეხმარება. ვაჭრობა და მიმოსვლა აღდგენილია. ცნობები, ვითომ აქ უცხოელთა ჯარები მოსულიყვნენ, ტყუილია.—ნაბრძანებია მობილიზაცია მცირე აზიის რედიფთა ბრიგადის ექვსი ბატალიონის. ბიტოლიაში და მის გარშემო 100 ბოლგარელი დაიპატიმრეს.

კონსტანტინოპოლი. პორტას ცნობებით გენერალ ცონჩევი კი არ არის მოკლული, არამედ მეამბოხეთა წინამძღოლი დელჩევი.—ცნობა იმაზე, რომ უკანასკნელი ნოტა პორტასი, რომელშიაც ის სჩიოდა, ბოლგარელთა მთავრობამ არ მიიღო და უკან დაუბრუნა, ტყუილი გამოდგა. დანევმა ოსმალეთის კომისარს სთხოვა, რომ ნოტა უკან წაეღო, რადგანაც ეს შეიცავდა რამდენსამე ისეთ ბრალდებას ბოლგარიის წინააღმდეგ, რომელიც არაფრით არ გამართლდება. კომისარმა შეასრულა შუამავლობა. აქაური დიპლომატიური წრეები ამ შემთხვევას არაფერ მნიშვნელობას არ აძლევენ.

კონსტანტინოპოლი. გუშინ მონასტირში მომხდარ ამბოხებაზე კონსულის მოხსენებაში შემდეგი სწერია: სოფელ ორიზარისთან და კოპრცთან მოხდა ბრძოლა ჩეტებთან. ხმები გავრცელდა, რომ ამ ჩეტების წევრები ქალაქში შევიდნენ. ამავე დროს უმთავრეს მეჩეთთან და პატარა მეჩეთთან დინამიტიანი ყუმბარები გადაისროლეს, მაგრამ ეს ყუმბარები არ აფეთქდნენ. ბოროტ-განმზრახველნი დაიპატიმრეს. ბაზარი და მაღაზიები დაკეტეს. ხალხი სახლებში შეკეტილია. ვალიმ საჭიროდ მიიღო გასაფრთხილებელი ზომები.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

თმის სალებავი
ნიგვზის
ექსტრაქტიდან
№ 4711

ჭაღარა თმასა გინდა ქერას მოკლე ხანში სასურველად ჰღებავს, როგორც გსურთ: გინდ ღია ფერად, გინდ შავად. რამდენად უფრო ხშირად იხმართ ამ საღებავს, იმდენად უფრო გაშავდება თმა და ამიტომ გაჭაღარავებულს კაცს მალე შეუძლია წინანდელი შავი ფერი დაუბრუნოს თმას.

№ 4711 თმის საღებავი ნიგვზის ექსტრაქტიდან უპირატესობის ღირსია ყოველგვარ სხვა საღებავებთან, რადგან მავნე არაფერი ურევია შიგ.

ნება დართულია ლიფლიანდიის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისაგან № 2753 1896 წლის 12 ოქტომბერს.

ფირმ. მიულგენსი
კელნი რეინზე და რიგა
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი. (მც. 4.—7)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისი
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ).
ტელეფონი № 741

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—23)

კრემ ამიკოს (CRÊME AMYKOS)
საუკეთესო საგიგიენო საშუალება პირისახისა და პირის კანისათვის, იხმარება პირის კანის ყველა მსუბუქ სენის წინააღმდეგ, როგორც მაგალითად, ჭორფლის, მუწუკის და სხვა ამგვარის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კარგია არტისტებისათვის გრიმის მოხსნის შემდეგ სახმარებლად, რადგან სპობს სიცხესა და გრიმის სხვა შედეგს. ამ წამლის ერთი ბანკის ფასი 1 მ. 25 კაპ., 2 ბანკა ეგზავნება მსურველს 3 მანეთად პირდაპირ გამომგონთაგან: სავაჭრო სახლი „საპარფიუმერო ლაბორატორია ი. გოლდენბერგ", პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13. (ნ. 4—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 26 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)